

გრეგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

Grigol Robakidze University

ხელნაწერის უფლებით

With the right of manuscript

ეკატერინე ნანდოშვილი

Ekaterine Nandoshvili

ანდერძის საფუძველზე წარმოშობილ ურთიერთობათა  
სამართლებრივი რეგულირება

Legal Regulation of Relations Arising on the Basis of a Will

საგანმანათლებლო პროგრამა: სამართალი

Educational programme: Law

დისერტაცია წარდგენილია სამართლის დოქტორის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

Thesis is presented for obtaining of the PhD Degree in Law

რეზიუმე

Abstract

თბილისი

Tbilisi

2022

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ეკატერინე ნანდოშვილი

ანდერძის საფუძველზე წარმოშობილ ურთიერთობათა  
სამართლებრივი რეგულირება

საგანმანათლებლო პროგრამა: სამართალი

დისერტაცია წარდგენილია სამართლის დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

რეზიუმე

თბილისი

2022

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

მეცნიერ-ხელმძღვანელი:

ზურაბ ძლიერიშვილი  
სამართლის დოქტორი,  
პროფესორი

შალვა ქურდაძე,  
სამართლის დოქტორი,  
პროფესორი

დისერტაციის დაცვის თარიღი გამოქვეყნდება უნივერსიტეტის  
ვებ-გვერდზე [www.gruni.edu.ge](http://www.gruni.edu.ge)

დისერტაციის დაცვა შედგება გრიგოლ რობაქიძის სახელობის  
უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საატესტაციო –  
საექსპერტო კომიტეტის სხდომაზე

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია გრიგოლ რობაქიძის  
სახელობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, თბილისი, ირინა  
ენუქიძის №3 (დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ)



## სარჩევი

შესავალი	5
საკვლევი პრობლემატიკა და თემის აქტუალობა	6
კვლევის მიზანი	7
კვლევის ამოცანები	8
ჰიპოთეზა	9
მეთოდოლოგია და კვლევის აღწერა	9
კვლევის შედეგები	11
ნაშრომის მეცნიერული სიახლე	12
დასკვნები და რეკომენდაციები	14

## შესავალი

„მემკვიდრეობის სამართალი არის ადამიანთა საზოგადოების პროგრესის წინაპირობა ცივილიზაციის ისტორიის ასპექტში“. უნდა ითქვას, რომ მემკვიდრეობას დიდი ხნის ისტორია აქვს. მემკვიდრეობის გადაცემას ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილების დროს, მაგრამ მემკვიდრეობის მიცემისა თუ მიღების უფლება გაჩნდა მხოლოდ კლასობრივ საზოგადოებასა და სახელმწიფოში.

მემკვიდრეობის სამართლის განვითარება ყოველთვის დაკავშირებული იყო იმ ფუნქციასთან, რასაც ის სხვადასხვა ეპოქაში იძენდა. მაგალითად, ევროპაში ეს ფუნქციები სოციალურ სტრუქტურებთან ერთად, არაერთგზის ძირეულად შეიცვალა. ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში, სასოფლო-სამეურნეო კომლექსში წარმოშობილი მემკვიდრეობის წესები და ტრადიციები შემდგომში ქალაქების კულტურად იქცა.

მეცნიერთა უმრავლესობა მემკვიდრეობის განვითარების ისტორიულ გზას ასე წარმოაჩენს: თავდაპირველად მემკვიდრეობას ღებულობდა გვარი, შემდგომ - ოჯახი. მემკვიდრეობის საოჯახო წესს საფუძველი ეყრება მატერიალური გვარის დაშლის შემდგომ, ინდივიდუალური ოჯახის შექმნით. კაპიტალის დაგროვების ფორმების განვითარებამ, როგორცაა, მაგალითად, ვაჭრობა, ფულის მიმოქცევა და ა.შ. განაპირობა ოჯახური მემკვიდრეობის გადასვლა ანდერძის თავისუფლებაზე. ანუ, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა კერძო საკუთრება და მესაკუთრეს მიეცა შესაძლებლობა თავისი შეხედულებისამებრ განეკარგა თავისი ქონება, გაჩნდა ანდერძით მემკვიდრეობაც. ფაქტია, რომ მემკვიდრეობის სამართლის წარმოშობა და განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული საკუთრებასთან. მას, როგორც საზოგადოების იურიდიულ ზედნაშენს, განსაზღვრავს მატერიალური ცხოვრების წარმოების წესი, რაც უდიდეს გავლენას ახდენს როგორც ქონების განაწილებაზე, ისე ცხოვრების პირობების განვითარებაზე. ამასთან, სამართლის

წარმოშობისა და განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ კერძო საკუთრების უფლების აღმოცენებასთან დაკავშირებით იქმნებოდა ისეთი სამართლებრივი ნორმების შემუშავების აუცილებლობა, რომლის საფუძველზეც მოწესრიგდებოდა სამართლის სუბიექტთა უფლებრივი ურთიერთობა.

საქართველოში ოდითგანვე ცნობილი იყო მემკვიდრეობის ორივე ფორმა, როგორც კანონისმიერი მემკვიდრეობა ისე - ანდერძისმიერი.

ანდერძი უნიკალური საშუალებაა - პირმა საკუთარი სურვილისამებრ განკარგოს თავისი ქონება გარდაცვალების შემდეგ. შესაბამისად, ანდერძით მემკვიდრეობა, როგორც საკვლევი თემა, აქტუალობას არასდროს კარგავს.

### **საკვლევი პრობლემატიკა და თემის აქტუალობა**

საკვლევი თემისა და ზოგადად, კვლევის აქტუალობა იმით არის განპირობებული, რომ, თუ ანდერძზე და ანდერძით მემკვიდრეობაზე, როგორც სამოქალაქო სამართლის ძალზედ ძველ და მნიშვნელოვან სამართლებრივ ინსტიტუტებზე, ბევრი რამ დაწერილა მსოფლიო მასშტაბით, ქართულ რეალობაში სიტუაცია სულ სხვაგვარადაა, კერძოდ, ორ ათეულ წელზე მეტი ხნის წინ მოხდა საქართველოში ახალი სამოქალაქო კოდექსის შემუშავება და ამოქმედება<sup>1</sup> და რადგანაც კოდექსის ამოქმედებას არ მოჰყვა ინტენსიური სამეცნიერო მუშაობა სრულყოფილი კომენტარებისა და სათანადო იურიდიული ლიტერატურის შესაქმნელად, სამოქალაქო სამართლის მრავალი მიმართულება, მათ შორის, მემკვიდრეობის სამართლის მრავალი სამართლებრივი ინსტიტუტი, განვითარების საწყის ეტაპზე დარჩა. მცირეა იმ ნაშრომების ნუსხა, რომლებიც მემკვიდრეობის სამართლის საკითხებს ეხება და განსაკუთრებით რთულადაა საქმე (ზოგადად) ანდერძით მემკვიდრეობის და (კონკრეტულად)

---

<sup>1</sup>1997 წლის 26 ივნისი.

„სავადებულო წილისა“ თუ „საანდერძო დანაკისრის“ კუთხით (რომლებზეც თითქმის არ არსებობს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაც კი).

სიტუაციას ისიც ართულებს, რომ, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის<sup>2</sup> ე.წ. „რეცეფციის“ მიუხედავად, ქართველმა კანონმდებელმა ბოლომდე უარი არ თქვა „საბჭოურ სამართალზე“, რაც განსაკუთრებით ნათლად ჩანს „მემკვიდრეობის სამართლის“ მაგალითზე, სადაც „ტერმინოლოგია“ და „რეგულირების ფორმები“ დიდწილად შენარჩუნებულია (ძველი (საბჭოური) კანონმდებლობიდან). ამასთან, მემკვიდრეობის სამართალში გვხვდება, ასევე, ე.წ. „რომანული სამართლის ოჯახის“ ქვეყნების კანონმდებლობის მსგავსი ნორმებიც, რაც არ არის თავსებადი „გერმანული სამართლის ოჯახის“ ქვეყნების კოდექსების ნორმებთან, რომელთა საბაზისო კოდექსსაც სწორედ გერმანული BGB-ე წარმოადგენს. შესაბამისად, ამგვარ სიტუაციაში, რადგანაც, შეუძლებელია ზუსტად იმის თქმა, თუ „სამართლის რომელი ოჯახს“ მიეკუთვნება ქართული მემკვიდრეობის სამართალი, საჭიროა იმის დადგენა, თუ რამდენად შეიძლება მისი მიკუთვნება მესამე, ე.წ. „რომანულ-გერმანული“ სამართლის ოჯახისადმი. წინამდებარე ნაშრომიც სწორედ იმას ემსახურება, რომ დადგინდეს უპირატესად სამართლის რომელი ოჯახის ნორმების მსგავსად არის მოწესრიგებული საკვლევ თემასთან დაკავშირებული სამართლებრივი ინსტიტუტები, რაც მათი არსისა და მნიშვნელობის უკეთესად გაგებაში დაეხმარება მკითხველს.

## კვლევის მიზანი

სადოქტორო ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის მიზანს წარმოადგენს ანდერძის იურიდიული ბუნებისა და ანდერძის საფუძველზე წარმოშობილ ურთიერთობათა რეგულირების წყაროების შესწავლა, იურიდიულ დანაწესებში დაშვებული

---

<sup>2</sup>შემდგომში - გერმანული BGB-ე



ხარვეზებისა და მათი გამომწვევი მიზეზების გამოკვლევა, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მეცნიერულად დასაბუთებული ხედვის, მიდგომებისა და კომპლექსური რეკომენდაციების შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ანდერძის საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობების მაღალი სტანდარტით რეგულირებას, ხელს შეუწყობს იურიდიული დოქტრინის შემდგომ განავითარებას, ხოლო სანოტარო და სასამართლო პრაქტიკაში გამოიყენება, როგორც საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლების დაცვის ეფექტიანი მექანიზმი.

### **კვლევის ამოცანები**

კვლევის ამოცანებია ანდერძის, როგორც განკარგვითი გარიგების ხასიათის განსაზღვრა; მოანდერძის მიერ გამოვლენილი თავისუფალი ნების ნამდვილობის და ნების ნაკლის განმაპირობებელი ფაქტორების გამოვლენა; ანდერძისმიერი მემკვიდრეობის სფეროში კონტინენტური ევროპის წამყვანი ქვეყნების საკანონმდებლო რეგულირების და ნორმატიული დანაწესების გამოყენების პრაქტიკის თავისებურებების ანალიზი; ამ ქვეყნებში არსებული მოდელების ნაკლისა თუ უპირატესობის დადგენა ანდერძისმიერი მემკვიდრეობის ქართულ მოდელთან შედარებით; ამ ასპექტით, საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების მიდგომების შედარებითი ანალიზი; ანდერძში გამოხატული ნების, სავალდებულო წილის იურიდიული ბუნების, მისი მიღებისა და მოცულობის განსაზღვრის გზებისა და მექანიზმების გამოკვლევა; სავალდებულო წილზე უფლებამოსილი სუბიექტების, ანდერძის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებითი ურთიერთობის ელემენტების გაანალიზება; ანდერძის შედგენაზე უფლებამოსილ პირთან დაკავშირებული რეგულაციების, ანდერძის ფორმებისა და მათი გაფართოების შესაძლებლობის ეფექტიანობის, და მაშასადამე, მიზანშეწონილების შეფასება.

## ჰიპოთეზა

ანდერძის საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის ისეთი ელემენტი, როგორიც არის ანდერძიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები, ჯეროვნად განხორციელდება, თუ: აღმოიფხვრება ის საკანონმდებლო ხარვეზები, რომლებიც ნორმათა ორაზროვანი განმარტების საფრთხეს ქმნიან. დაზუსტება ანდერძის, როგორც ცალმხრივი ნების გამოვლენის არსი და ჩამოყალიბდება სანოტარო და სასამართლო პრაქტიკის განხორციელებისთვის ერთიანი მეთოდოლოგიური მიდგომა - სავალდებულო წილის იურიდიული ბუნება გაგებულ იქნება სამკვიდრო ქონების აზრით და არა ფულადი მოთხოვნის მნიშვნელობით, სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილ სუბიექტთა წრე დავიწროვდება და მის მიღებაზე უფლებამოსილ პირთა სწორად განსაზღვრის უზრუნველყოფის მიზნით არ იქნება გამოყენებული კანონით მემკვიდრეთა რიგის განმსაზღვრელი დებულება.

## მეთოდოლოგია და კვლევის აღწერა

სწორი დასკვნების გამოსატანად, ნაშრომზე მუშაობისას ამოსავალს წარმოადგენდა, სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა, რომელშიც არსებითი ადგილი უკავია ადამიანის საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლების დაცვას, კერძოდ, როგორც მოანდერძის ისე ანდერძისმიერი მემკვიდრის სამოქალაქო უფლებათა და კანონიერ ინტერესთა დაცვას.

სადოქტორო ნაშრომში გამოყენებულია ძირითადად ზოგადი და კერძო სამეცნიერო კვლევის მეთოდები (ჰერმენევტიკული, შედარებით-სამართლებრივი, ანალიტიკური, დედუქციური და სხვა).

ამასთან, მარტოდენ თეორიული ანალიზი, პრობლემების პრაქტიკული ასპექტების ანალიზის გარეშე, სწორი დასკვნების გამოტანის საშუალებას არ იძლევა, ვინაიდან სამოქალაქო

სამართლებრივი ნორმების ნაკლი თუ ეფექტიანობა სწორედ პრაქტიკაში მათი გამოყენებისას ვლინდება. შესაბამისად, ნაშრომში განხილულია სასამართლო და სასოციალური პრაქტიკა.

„ჰერმენევტიკული მეთოდის“ გამოყენებით მოხდა ნორმაში არსებული სიტყვების, ფრაზებისა და ზოგადად, საკვლევ თემასთან დაკავშირებული ზოგადი შინაარსის ნორმების არსისა და მნიშვნელობის დადგენა.

„შედარებით-სამართლებრივი მეთოდის“ გამოყენებით განხორციელდა საკვლევ თემასთან დაკავშირებული ახალი სამოქალაქო კოდექსის ნორმების შედარება 1964 წლის საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის ნორმებთან, ასევე, სხვა ქვეყნების კოდექსების ნორმებთან. შესადარებლად ძირითადად გამოყენებული იქნა გერმანიის, შვეიცარიის, საფრანგეთისა და ავსტრიის სამოქალაქო კოდექსის ნორმები. ეს კარგი საშუალებაა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით გათვალისწინებული მოწესრიგების შესადარებლად სხვა ქვეყნების მიდგომებთან და გამოცდილებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, უკეთესად მოხდა ქართული კანონმდებლობის ხარვეზების დანახვა და მათი აღმოფხვრის გზების ძიება. შედეგად, შემუშავდა სათანადო რეკომენდაციები. „შედარებით-სამართლებრივი“ კვლევის მეთოდის ფარგლებში საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული, საკვლევ თემასთან დაკავშირებული სამართლებრივი ინსტიტუტების მომწესრიგებელი ნორმები შედარებული იქნა ზემოაღნიშნული ქვეყნების შესაბამის ნორმატიულ დანაწესებთან, გაივლო პარალელები ქართულ და საზღვარგარეთის ქვეყნების მემკვიდრეობის სამართლის ძირითად თავისებურებებთან, ნათელი მოეფინა მათ არსს, რამაც შესაძლებელი გახდა მათი ფუნქციური დანიშნულების უკეთ გაგება და მათ შორის მსგავსება/განსხვავების დადგენა.

„ანალიტიკური მეთოდის“ გამოყენებით სიღრმისეულად გაანალიზდა საკვლევ თემასთან დაკავშირებული ნორმები,

როგორც მათი ერთმანეთთან მიმართების (მსგავსება/წინააღმდეგობის), ისე მათი ერთმანეთზე ზემოქმედების დადგენის თვალსაზრისით. ნორმების ანალიზს შედეგად მოჰყვა დასკვნების ჩამოყალიბება და რეკომენდაციების შემუშავება.

„დედუქციური მეთოდის“ გამოყენებით მოხდა ზოგადი „მიდგომების“ და „განმარტებების“ რეალურ ცხოვრებისეულ შემთხვევებზე მორგება და ამ მაგალითების საფუძველზე გამოტანილი იქნა კონკრეტული დასკვნები (კონკრეტულ სამართლებრივ შედეგებზე მითითებით).

კვლევაზე მუშაობის პერიოდში გავცეანი არსებულ სასამართლო და სანოტარო პრაქტიკას, ასევე რეალურად არსებული პრობლემების უკეთ გაანალიზების მიზნით სხვადასხვა პერიოდში გავიარე საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში პრაქტიკა, რითიც მომეცა საშუალება, უშუალოდ შემესწავლა და დავეკვირვებოდი სისტემაში არსებულ ხარვეზებს; ასევე ინტერვიუს მეშვეობით მივიღე უშუალო ინფორმაცია პრაქტიკაში არსებული პრობლემების შესახებ, გავესაუბრე მოსამართლეებს, ნოტარიუსებს და ადვოკატებს; ინფორმაციის მოძიებისა და გადამუშავების საფუძველზე შევეცადე გამომეკვეთა ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც ნეგატიურად მოქმედებენ ანდერძის საფუძველზე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობათა დინამიკაზე. შევისწავლე სპეციალური ლიტერატურა და მათი ანალიზის შედეგად, შევიმუშავე არსებული პრობლემების მოგვარების გზები.

### **კვლევის შედეგები**

კვლევის შედეგად გამოვლინდა მრავალი პრობლემატური სამართლებრივი საკითხი რომელიც საკმარისად ან საერთოდ არ არის განხილული ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში. გამოვლინდა ანდერძით მემკვიდრეობის ინსტიტუტის ეფექტიანად ფუნქციონირებაზე უარყოფითი ზემოქმედების

მომხდენი ფაქტორები. პრობლემის შეფასების შედეგად გამოიკვეთა საკანონმდებლო და პრაქტიკული ხასიათის ხარვეზები. კვლევამ აჩვენა, რომ მემკვიდრეობის სამართლის მომწესრიგებელი ნორმების 60 – 70 პროცენტთან მიმართებაში არ არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები. მომზადდა წინადადებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის მიზნით. მოქმედი სასამართლო და სანოტარო პრაქტიკისა და მეცნიერული ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ანდერძით მემკვიდრეობის ინსტიტუტის განვითარებასა და ეფექტიან ფუნქციონირებას.

ვფიქრობთ, რომ წარმოდგენილი კვლევა შეიძლება გამოყენებულ იქნეს კანონშემოქმედებითი და პრაქტიკული მიმართულებით, სასწავლო - საგანმანათლებლო თვალსაზრისითა და ანდერძით მემკვიდრეობასთან და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ასპექტების თაობაზე განხორციელებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.

### **ნაშრომის მეცნიერული სიახლე**

მოქმედი სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ სადისერტაციო ნაშრომი ანდერძის საფუძველზე წარმოშობილ ურთიერთობებთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემების პირველი მონოგრაფიული კვლევაა. ნაშრომში ანდერძით მემკვიდრეობის მომწესრიგებელი ნორმები მეცნიერულად არის გაანალიზებული და განმარტებული, რის საფუძველზეც ჩამოყალიბებულია და შემოთავაზებულია თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე რეკომენდაციები, რომელთა გამოყენებაც გააუმჯობესებს სასამართლო და სანოტარო ორგანოების საქმიანობას, განავითარებს ცივილისტურ დოქტრინას. დისერტაციაში გამოვლენილია ანდერძისმიერი მემკვიდრეობის ქართული და უცხოური მოდელების ხარვეზები და უპირატესობები. ნაშრომში ახლებურად არის გაანალიზებული ანდერძის ცნება

და შემოთავაზებულია ავტორისეული ფორმულირება, გამოვლენილია კანონმდებლობის ხარვეზები და ჩამოყალიბებულია დისერტანტის მოსაზრებები ცვლილებების შეტანის აუცილებლობასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მეცნიერული სიახლე გამოიხატება იმით, რომ ნაშრომში:

- შემოთავაზებულია ანდერძის ცნების ავტორის მიერ შემუშავებული ფორმულირება;
- ჩამოყალიბებულია ანდერძსა და მის მომიჯნავე სამართლებრივ ინსტიტუტებს შორის მსგავსება-განსხვავების კრიტერიუმები;
- მეცნიერულად გაანალიზებულია მხარდაჭერის მიმღების მიერ ანდერძის შედგენის შესაძლებლობის, ასევე ანდერძის შედგენის უნარისა და ზოგადად, ქმედუნარიანობის გამიჯვნის აუცილებლობის პრობლემები;
- დასაბუთებულია გამონაკლის შემთხვევებში, ზეპირი ანდერძის დაშვების მიზანშეწონილობა;
- განმარტებულია ანდერძის თავისუფლებაში ნაკლებად ჩარევის უზრუნველსაყოფად, ანდერძის ბათილობის ხშირ შემთხვევაში, ანდერძის ძალადაკარგულად გამოცხადებით ჩანაცვლების და ამ კუთხით, კანონმდებლობის დახვეწის აუცილებლობა, რომელიც, იმავდროულად, ე.წ. გაორებულ რეგულირებებს გამორიცხავს;
- შეფასებულია ანდერძის ბათილობის მოთხოვნის სასარჩელო ხანდაზმულობის ხანგრძლივობის თაობაზე არსებულ განსხვავებულ მიდგომათა შორის ყველაზე უფრო მართებული მიდგომა, რომელიც დასაბუთებულია სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე;
- წარმოჩენილია სავალდებულო წილის ინსტიტუტის სამართლებრივი ბუნება და ქართულ სამართალში მისი მომწესრიგებელი ნორმების უპირატესობა გერმანულ სამართალთან შედარებით, რომელშიც

სავალდებულო წილი გამიჯნულია  
მემკვიდრეობისაგან;

- საფუძვლიანად არის შესწავლილი საქართველოსა და სხვა ქვეყნების დოქტრინა, სასამართლო და სანოტარო პრაქტიკა, გავლებულია პარალელები და შემოთავაზებულია წინადადებები უცხოეთის მოწინავე ქვეყნების კანონმდებლობაში არსებული რიგი ინსტიტუტების ქართულ კანონმდებლობაში გათვალისწინების აუცილებლობის შესახებ, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სამოქალაქო სამართლის ნორმების სრულყოფას და გააუმჯობესებს პირთა უფლებების დაცვას.

### დასკვნები და რეკომენდაციები

1. დიდი დრო არ არის გასული, რაც ქართული სამოქალაქო სამართალი ევროპულ სტანდარტებზე გადავიდა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ქართული სამართალი ჯერ კიდევ განვითარების საწყის ეტაპზეა, განსაკუთრებით მემკვიდრეობის სამართლის კუთხით და არაერთი მიმართულებით დახვეწას საჭიროებს.
2. ძნელია გადაჭრით იმის თქმა, რომ ქართული მემკვიდრეობის სამართალი ცალსახად „გერმანულ“ სამართლებრივ ჯგუფს მიეკუთვნება, თუმცა, მასში არ შეინიშნება არც უპირატესად გამოკვეთილი „რომანული“ სამართლებრივი ჯგუფის ნიშნები. ამიტომაც, შეიძლება (თამამად) ითქვას, რომ ქართული სამოქალაქო სამართალი, განსაკუთრებით კი, მემკვიდრეობის სამართალი, მესამე ჯგუფს, ანუ, ე.წ. რომაულ-გერმანული სამართლის ოჯახის „დანარჩენ სამართლებრივ მოწესრიგებას“ განეკუთვნება;
3. ანდერძი შეიძლება განვიხილოთ, როგორც სრულწლოვანი და, მაშასადამე, ქმედუნარიანი ფიზიკური პირის მიერ პირადად დადებული განკარგვითი გარიგება, რომელიც კანონით დადგენილი ფორმით არათანხმობასავალდებულო ცალმხრივი ნებით არის

გამოვლენილი და ნამდვილია მისი დადების მომენტიდან, ხოლო ძალაში შედის სამკვიდროს გახსნისთანავე და ითვალისწინებს გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების გადასვლას სხვა ცოცხალ (არსებულ) ან ჩასახულ პირებზე (მემკვიდრეებზე), სავალდებულო წილის გამოკლებით.

4. გაუმართლებელია ანდერძისა და მინდობილობის, ასევე ანდერძისა და ჩუქების ხელშეკრულების გაიგივება და მათი ერთსა და იმავე სამართლებრივ ჭრილში განხილვა;
5. კანონის იმპერატიული დანაწესების მიუხედავად (მონადერძის ქნედუნარიანობის, ანდერძის შედგენის უნარისა და მისი პირადად შედგენის აუცილებლობის კუთხით), მხარდაჭერის მიმღების მიერ შედგენილი ანდერძი ავტომატურად ბათილად არ უნდა ჩაითვალოს. ამასთან, თუ შესაძლებელია, რომ მხარდაჭერის მიმღებმა მიიღოს სამკვიდრო, სრულიად შესაძლებელი უნდა იყოს, რომ მხარდაჭერის მიმღებმა შეადგინოს ანდერძი;
6. სახელმწიფო შეიძლება იყოს ანდერძისმიერი მემკვიდრე და ამასთან, ის შეიძლება ჩაითვალოს ბოლო (უკანასკნელი) რიგის კანონისმიერ მემკვიდრედ.
7. გაუმართლებელია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „ანდერძში იმაზე მითითება, რომ ქონება ეანდერძა იურიდიულ პირს, რომელიც შეიქმნება სამკვიდროს გახსნის შემდეგ, ბათილია“;
8. ისეთ პირობებში, როდესაც ანდერძის დამოწმებისას ნოტარიუსთან გათანაბრებული პირების ნუსხიდან სამოქალაქო კოდექსში ამოვარდნილნი არიან საკონსულო დაწესებულებები და დიპლომატიური წარმომადგენლობები, საკითხი ამ უკანასკნელთა უფლებამოსილების თაობაზე ანდერძების დამოწმების ასპექტში, უნდა განისაზღვროს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონისა და თავად სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის დანაწესების შესაბამისად და მაშასადამე, ზოგადი და სპეციალური კანონის ურთიერთმიმართებისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს



სპეციალურ კანონს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიმართ ასეთია „ნორმატიული აქტების შესახებ“ და „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონები, რომლებიც საკონსულო დაწესებულებებსა და დიპლომატიურ დაწესებულებებს ცალკეულ სანოტარო მოქმედებათა შესრულების შესაძლებლობას ანიჭებს, მათ შორის, ანდერძებთან მიმართებაშიც.

9. სკ 1402(ბ)) მუხლის დანაწესი გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდის სკ 1404(1) მუხლის დანაწესთან. ამ ორივე ნორმით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სამკვიდრო ქონებაში (რეალურად) არ არის ნივთი (ქონება), რომელიც გათვალისწინებულია ანდერძით. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ თუ ანდერძში მითითებულ ნივთს (ქონებას) არასდროს უარსებია სამკვიდრო ქონებაში, მაშინ სკ 1404(1) მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევასთან გვექნება საქმე, ხოლო თუ ამგვარი ნივთი (ქონება) ოდესღაც არსებობდა სამკვიდროში და ის მხოლოდ სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის აღარ არის იმიტომ, რომ დაიკარგა ან თავად მოანდერძემ გაასხვისა ის, მაშინ საქმე სკ 1402(ბ)) მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევასთან გვექნება. აქვე უნდა ითქვას, რომ სკ 1402(ბ)) მუხლში ნახსენებ სიტყვაში „დაიკარგა“, „განადგურებაც“ იგულისხმება;
10. სრულიად მისაღებია კანონმდებლის მიდგომა, როცა ადგენს, რომ კანონდარღვევით შედგენილი ანდერძი შეიძლება გაბათილდეს, რადგან კანონის ყოველი დარღვევა გავლენას ვერ მოახდენს ანდერძის ნამდვილობაზე. ამიტომ ანდერძის შედგენა კანონდარღვევით არ გულისხმობს გამოვლენილი ნების კონფლიქტს კანონთან. აქ უფრო ნავარაუდევია ანდერძის დადასტურებისას დაშვებული დარღვევა, რის გამოც ნორმის ადრესატი ნოტარიუსი ან მასთან გათანაბრებული პირია. კანონმდებლის მიდგომაში შეიძლება იგულისხმებოდეს ასევე ზოგიერთი სხვა პროცედურული დარღვევა (თუნდაც შინაურული ანდერძის შედგენისას

- დაშვებული პროცედურული დარღვევა), რომლებიც გავლენას ვერ მოახდენენ ანდერძის ნამდვილობაზე;
11. სკ 1404(1), 1404(2) და 1405-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საანდერძო განკარგულებების ბათილად ცნობა კი არ უნდა მოხდეს, არამედ დასახელებულ ნორმებში გათვალისწინებული შემთხვევები საანდერძო განკარგულებების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი უნდა იყოს;
  12. მართებულად უნდა ჩაითვალოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიდგომა, რომლის თანახმადაც, ვადის ათვლის მომენტად სამკვიდროს გახსნის დღე კი არ მიიჩნევა, როგორც ეს სიტყვასიტყვითაა კანონში მითითებული, არამედ ის მომენტი, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო ანდერძის ბათილად ცნობის საფუძვლის არსებობა;
  13. კვლევით დასტურდება სასამართლო პრაქტიკის მიდგომის მართებულობა მესაკუთრის სავინდიკაციო სარჩელებთან დაკავშირებით, როცა სასამართლო პრაქტიკა ამ უფლების ვინდიკაციური და ნეგატორული სარჩელებით დაცვაზე ხანდაზმულობას, საკუთრების უფლების აბსოლუტური ბუნებიდან გამომდინარე, არ ავრცელებს;
  14. ყურადღებას იმსახურებს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ანდერძის აღმსრულებლის დანიშვნით, მოანდერძესა და დასახელებულ პირს შორის დავალების ხელშეკრულება იდება. შესაბამისად, აუცილებელია, რომ ანდერძის აღმსრულებლად დანიშნულმა პირმა საამისოდ საჭირო თანხმობა, სათანადო ფორმით, სწორედ ანდერძის დადების მომენტშივე განაცხადოს, რათა თავისი თანხმობით დავალების ხელშეკრულების დადება მოახდინოს;
  15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ბოლო დროინდელმა პრაქტიკამ უარყო კანონით მემკვიდრეების განმსაზღვრელ და სავალდებულო წილზე უფლების მქონე სუბიექტების განმსაზღვრელ ნორმებს შორის კავშირი (ბმა), ასევე, უარყო სავალდებულო წილის

- უფლებაზე კანონით მემკვიდრეობის წესების (ნორმების) გამოყენება, რაც უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია და მისასალმებელია;
16. ქართულ დოქტრინასა, სანოტარო და სასამართლო პრაქტიკაში სავალდებულო წილს განიხილავენ არა ფულად მოთხოვნად, არამედ რეალურ წილად სამკვიდროში, რაც სრულიად თავსებადია სავალდებულო წილის სამართლებრივ ბუნებასთან.
  17. გერმანულ სამართალთან შედარებით, რომელშიც სავალდებულო წილი ვალდებულებით-სამართლებრივ მოთხოვნად მიიჩნევა, რომლის იძულებით შესრულების დაკისრება სასამართლოს მეშვეობით ხორციელდება, ქართულ სამართალში უფრო პროგრესულად არის მოწესრიგებული სავალდებულო წილის მიღებისა და მასზე სამემკვიდრეო უფლებების გაფორმების საკითხი. სავალდებულო წილი სამკვიდრო ქონებაა, რომლის მიღების პროცედურის გართულება სასამართლო გზით, როგორც ეს გერმანულ სამართალშია, არავითარ რაციონალურ მოსაზრებას არ ეფუძნება. ქართული მოწესრიგება კი, შეესაბამება საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლების ეფექტიანად განხორციელების მაღალ სტანდარტს, რაც მნიშვნელოვანია სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და სიმყარისათვის.
  18. არ შეიძლება სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა დაუშვებელი გარიგებების განმსაზღვრელი ნორმის საფუძველზე, რადგანაც სამკვიდრო მოწმობა არ წარმოადგენს გარიგებას. შესაბამისად, ვერ იქნება მხარდაჭერილი სასამართლო პრაქტიკა სამკვიდრო მოწმობის დაუშვებელი გარიგებების განმსაზღვრელი ნორმის საფუძველზე ბათილად ცნობის კუთხით;
  19. მემკვიდრეობითი ტრანსმისია (სავალდებულო წილის მოთხოვნის კუთხით) ვრცელდება არა მხოლოდ პირველი რიგის კანონისმიერ მემკვიდრეებზე, არამედ ამ უფლებით შეუძლიათ ისარგებლონ მომდევნო რიგის კანონისმიერმა მემკვიდრეებმაც.

20. სავალდებულო წილის მოცულობის განსაზღვრა ხდება მთლიანი სამკვიდრო ქონებიდან და მას არ აკლდება მამკვიდრებლის ვალების დასაფარად საჭირო ქონება;
21. მართალია კანონი ადგენს საანდერძო დანაკისრის შესრულების ფარგლებს, მაგრამ, იმავდროულად, არ უნდა ჩაითვალოს, რომ ის ადგენს სამკვიდრო ვალების გასტუმრების რიგითობასაც;
22. სავალდებულო წილის გამოთვლისას, მემკვიდრეთა რიცხვში გათვალისწინებული უნდა იქნეს უღირსი საქციელის ჩამდენი მემკვიდრეც, თუნდაც ის სასამართლომ, მოგვიანებით, უღირს მემკვიდრედ სცნოს და ჩამოართვას მემკვიდრეობის უფლება;
23. სავალდებულო წილის განსაზღვრისას, სკ 1374-ე მუხლის მიზნებისთვის, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სკ 1354-ე მუხლის საფუძველზე მემკვიდრეობის უფლება ჩამორთმეული პირი და ის პირიც, რომელმაც უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე ან უარი თქვა სავალდებულო წილის მიღებაზე;
24. თუ სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილი პირი უარს იტყვის ანდერძის გარეთ დარჩენილი ქონების მიღებაზე, ან მისი მიღების სანაცვლოდ კომპენსაციას მიიღებს, მას უნდა წაერთვას სავალდებულო წილის სრულად მოთხოვნის უფლება და მისი ეს უფლება უნდა შემცირდეს იმ ქონების ღირებულებით, რაზეც მან უარი თქვა ან რა ოდენობის საკომპენსაციო თანხაც მიიღო მან ანდერძის გარეთ დარჩენილი ქონების მიღებაზე უარის თქმის სანაცვლოდ;
25. პირი ინარჩუნებს სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლებას იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას ჩამოერთმევა მემკვიდრეობის უფლება. მართებულია მოსაზრება, რომ სავალდებულო წილის ჩამორთმევა განსხვავდება (ზოგადად) მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევისგან იმით, რომ ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, სავალდებულო წილის ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ მამკვიდრებლის სიცოცხლეში, მის მიერ სასამართლოსთვის მიმართვის გზით.

26. სავალდებულო წილის მიღებაზე უარის თქმის ან სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევისას ეს წილი უნდა განაწილდეს ანდერძით მემკვიდრეებზე მათი წილების პროპორციულად;
27. საანდერძო დანაკისრის, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის, უცვლელობისა და სტაბილურობის კუთხით გამოთქმული მოსაზრება დღემდე მართლდება, რადგანაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შექმნისა და ძალაში შესვლის დღიდან ამ ინსტიტუტის მომწესრიგებელი ნორმები არ შეცვლილა და პირველადი სახით არიან წარმოდგენილნი. ამასთან, სკ 1383-ე - 1397-ე მუხლებთან მიმართებაში, რომლებიც საანდერძო დანაკისრთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს, არცერთი გადაწყვეტილება არ იძებნება საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა ბაზაში, რაც იმას ნიშნავს, რომ საანდერძო დანაკისრთან დაკავშირებული დავები ჯერჯერობით სასამართლო განხილვის საგანი არ გამბდარა, ან დავა არ გადასულა ზემდგომ ინსტანციაში განსახილველად. შესაძლოა ამის მიზეზი ისიც იყოს, რომ როგორც წესი, საანდერძო დანაკისრი გავლენას არ ახდენს მემკვიდრის არსებით ქონებრივ უფლებებზე და მამასადამე, არც დავას წარმოშობს;
28. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები საანდერძო დანაკისრის ცნებასთან და მის მნიშვნელობასთან დაკავშირებით სრულყოფილად ვერ გადმოსცემს ამ სამართლებრივი ინსტიტუტის არსს. შესაბამისი საკანონმდებლო დანაწესების თანმიმდევრული ანალიზის შედეგად შეიძლება საანდერძო დანაკისრის იურიდიული ბუნება შემდეგ დებულებებში გამოიხატოს: საანდერძო დანაკისრი არის მამკვიდრებლის მიერ ანდერძით, საკუთარი შეხედულებისამებრ, სამკვიდრო ქონების ხარჯზე, ერთი ან რამდენიმე ანდერძით მემკვიდრისათვის, ნაანდერძები სამკვიდროს ნამდვილი ღირებულების ფარგლებში, სხვა მემკვიდრის ან მესამე პირის სასარგებლოდ, რაიმე

ქმედების განხორციელების ვალდებულების დაკისრება. ამ ვალდებულებისგან ანდერძისმიერი მემკვიდრე გარდაცვალებით ან მემკვიდრეობის მიღებაზე უარის თქმით თავისუფლდება, თუმცა ამით ვალდებულება ავტომატურად არ წყდება და ეს ვალდებულება მისი წილი სამკვიდროს მიმღებ მემკვიდრეზე (მემკვიდრეებზე) გადადის წილის პროპორციულად, თუ ანდერძიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს ან შესრულება შეუძლებელია მისი მონაწილეობის გარეშე. გარდა ამისა, სამკვიდროს გახსნიდან, დანაკისრის მიმღების ან, სამკვიდროს მიღებამდე მისი გარდაცვალების შემთხვევაში, მისი მემკვიდრეების, ასევე, თუ საანდერძო დანაკისრი საერთო - სასარგებლო მიზანს ემსახურება, სკ 1397(4) მუხლით გათვალისწინებული პირების მიერ, ამ ვალდებულების შესრულების მოთხოვნის დაყენებამდე სამი წელი არ უნდა იყოს გასული და ამის გამო მემკვიდრეს უარი არ უნდა ჰქონდეს ნათქვამი საანდერძო დანაკისრის შესრულებაზე, ან საანდერძო დანაკისრის მიმღებს უარი არ უნდა ჰქონდეს ნათქვამი დანაკისრის მიღებაზე.

29. საანდერძო დანაკისრი ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობას აფუძნებს მემკვიდრესა და საანდერძო დანაკისრის მიმღებს შორის. ეს იმას ნიშნავს, რომ საანდერძო დანაკისრით დადგენილი ვალდებულების მიმართ შესაბამისად გამოიყენება ზოგადი წესები ვალდებულებათა შესახებ;
30. ქართული მემკვიდრეობის სამართალი, გერმანულის მსგავსად, მავალდებულებელ ლეგატს აღიარებს და არა ვინდიკაციურ ლეგატს;
31. შეუძლებელია ანდერძით მემკვიდრემ, ანდერძით გათვალისწინებულ ქონებასთან ერთად სავალდებულო წილი მიიღოს, ანუ, ეს ორი რამ ერთმანეთს გამორიცხავს;
32. მხარდაჭერას არ იმსახურებს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საანდერძო დანაკისრის მიმღები შეიძლება ჩაითვალოს განსაკუთრებული სახის კრედიტორად და პრივილეგირებულ მემკვიდრედ;

33. ანდერძის საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლებებისა და მოვალეობების სწორი კვალიფიკაცია დამოკიდებულია კანონის დროში მოქმედების საკითხის სწორად განსაზღვრაზე. ამ თვალსაზრისით, მოპასუხის დუმილი (მისი უმოქმედობა) არანაირად არ უნდა ჩაითვალოს მისი მხრიდან გამოთქმულ სურვილად, სკ 1507-ე მუხლის მიზნებისთვის და არ უნდა გახდეს დავის გადაწყვეტისას ახალი კოდექსის ნორმების გამოყენების საფუძველი;
34. სკ 58<sup>1</sup>(1) მუხლის დანაწესი შეიძლება გავრცელდეს მხარდაჭერის მიმღების მიერ დადებულ „ცალმხრივ გარიგებებზე“. აქედან გამომდინარე, სკ 58<sup>1</sup>(2) მუხლში უნდა დაზუსტდეს, რომ ამ სიტუაციაზე ვრცელდება სკ 66-ე მუხლის მხოლოდ II და III წინადადებით დადგენილი წესები, ხოლო თუ გამოტანილი იქნება აღნიშნულის საპირისპირო დასკვნა, კერძოდ ის, რომ სკ 58<sup>1</sup>(1) მუხლის დანაწესი არ ვრცელდება მხარდაჭერის მიმღების მიერ დადებულ „ცალმხრივ გარიგებებზე“, მაშინ სკ 58<sup>1</sup>(1) მუხლში უნდა დაზუსტდეს, რომ ამ მუხლის დანაწესი ეხება მხოლოდ მხარდაჭერის მიმღების მიერ დადებულ „ხელშეკრულებებს“, ხოლო სკ 58<sup>1</sup>(2) მუხლში უნდა დაზუსტდეს, რომ მხარდაჭერის მიმღების მიერ დადებულ „ცალმხრივ გარიგებებზე“ ვრცელდება სკ 66-ე მუხლის დანაწესი;
35. მიზანშეწონილია, რომ ქართულმა სამართალმაც განასხვავოს „ანდერძის შედგენის უნარი“ ჩვეულებრივი „ქმედუნარიანობისგან“ (კლასიკური გაგებით). ამას შეიძლება „ანდერძუნარიანობა“ (შესაბამისად - „ანდერძუუნარობა“) ან „ანდერძის შედგენაუნარიანობა“ (შესაბამისად - „ანდერძის შედგენაუუნარობა“) ეწოდოს. ქართული კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა დაიხვეწება, თუკი გათვალისწინებული იქნება გერმანიისა და სხვა ქვეყნების გამოცდილება და მიდგომები „ანდერძის შედგენის უნარის“ დადგენისა და შეფასების კრიტერიუმების თვალსაზრისით;

36. რეკომენდებულია, რომ სკ 1336-ე მუხლის დანაწესში სახელმწიფო დასახელდეს მე-6 რიგის მემკვიდრედ;
37. მიზანშეწონილია, რომ „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 24(6) მუხლის დანაწესს „ფართო განმარტება“ მიეცეს და მისი მოთხოვნა, რომ მოანდერძემ აუცილებლად უნდა იცოდეს ის ენა, რა ენაზეც დგება ანდერძი, ყველა სახის ანდერძზე გავრცელდეს. ამასთან, რეკომენდებულია, რომ „ანდერძის ენის“ საკითხი უშუალოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დარეგულირდეს და არ იქნეს საჭირო „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის „ზოგადი ნორმების“ მოშველიება;
38. მიზანშეწონილია, ანდერძის ნამდვილობის უზრუნველსაყოფად, „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 86-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „თუ სამკვიდრო მოწმობა უნდა გაიცეს შინაურული ან ტექნიკური საშუალებით შედგენილი ანდერძის საფუძველზე, ნოტარიუსი ვალდებულია მოსთხოვოს მხარეს ექსპერტის დასკვნა შესაბამისად, ხელნაწერის და/ან ხელმოწერის მოანდერძისადმი კუთვნილების შესახებ“;
39. აუცილებელია ანდერძის საიდუმლოების დაცვის საკანონმდებლო გარანტიების სრულყოფა, რამეთუ არსებული რეგულაციები აღნიშნულს ბოლომდე ვერ უზრუნველყოფს;
40. სკ 1361(3) მუხლის დანაწესის „აკრძალვა“, თანაბრად უნდა ვრცელდებოდეს როგორც მოწმეებზე, ისე ნოტარიუსზე, რათა მაქსიმალურად იქნეს თავიდან აცილებული ანდერძის გაყალბების შესაძლებლობა;
41. მიზანშეწონილია, ქართველმა კანონმდებელმაც გაიზიაროს განვითარებული ქვეყნების გამოცდილება და ქართულ სინამდვილეშიც დამკვიდრდეს „ზეპირი ანდერძის“ შესაძლებლობა განსაკუთრებულ სიტუაციებში, როდესაც „წერილობითი ანდერძის“ შედგენა მოანდერძის მიერ ან ნოტარიუსის (ან საამისოდ უფლებამოსილი პირის) მიერ, დროის მოკლე მონაკვეთში, დიდ



- სირთულეებთან არის დაკავშირებული ან (უბრალოდ) შეუძლებელია. ამასთან, სავალდებულო უნდა იყოს განსაკუთრებულ სიტუაციაში შედგენილი ანდერძის შესრულების ფაქტის შემდგომი ფიქსაცია;
42. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ერთიანი მიდგომა მოწმეებისადმი (ყველა ფორმით შედგენილ ანდერძებთან მიმართებაში), აუცილებელია, რომ „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 26-ე მუხლის შესაბამისი დებულებები აისახოს სკ 1362-ე მუხლშიც;
  43. სკ 1402(ა)) და (გ)) მუხლის დანაწესი ბოლომდე თავსებადი არ არის სკ 1370(1) მუხლის დებულებებთან, შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ სკ 1402(ა)) და (გ)) მუხლის დანაწესს დაემატოს შემდეგი შინაარსის ტექსტი: „იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ანდერძით დანიშნულია სათადარიგო მემკვიდრე“;
  44. მართებული იქნება, თუკი სკ 1375-ე მუხლის მიზნებისთვის, სავალდებულო წილის გამოანგარიშება „გერმანული მეთოდით“ მოხდება, ანუ, სამკვიდრო ქონებას დაემატება ნაჩუქარი ქონება და შემდეგ გამოითვლება სავალდებულო წილი და ბოლოს ამ თანხას გამოაკლდება ნაჩუქარი ქონების ღირებულება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს „საწყისი მდგომარეობის აღდგენის პრინციპი“;
  45. სკ 1392-ე მუხლის ტექსტი ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ თითქოს ეს ნორმა შესაძლებლად მიიჩნევეს იმას, რომ პირი ერთდროულად იყოს ანდერძით მემკვიდრე და სავალდებულო წილის მიმღებიც; სკ 1392-ე მუხლთან მიმართებაში არსებობს აშკარა „ტერმინოლოგიური პრობლემა“, შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ სკ 1392-ე მუხლი შემდეგი შინაარსით ჩამოყალიბდეს: „თუ ანდერძით მემკვიდრე, რომელსაც საანდერძო დანაკისრის შესრულება ევალება, იმავდროულად პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრეცაა, მაშინ ის საანდერძო დანაკისრს ასრულებს მისთვის ნაანდერძები სამკვიდროს მხოლოდ იმ

ნაწილის ფარგლებში, რაც იმ თანხის ზემოთ მიიღო, რასაც სავალდებულო წილის სახით მიიღებდა, ანდერძით მემკვიდრე რომ არ ყოფილიყო“;

46. სკ 1396-ე მუხლის დანაწესი გარკვეულ ხარვეზს შეიცავს, კერძოდ, მის ტექსტში გვხვდება დებულება „ვერ მოასწრო თანხმობის გამოთქმა დანაკისრის მიღებაზე“. რეკომენდებულია, რომ სკ 1396-ე მუხლში ეწეროს სიტყვები „[...], მაგრამ ვერ მოასწრო მოთხოვნის დაყენება დანაკისრის მიღებაზე, მაშინ მოთხოვნის უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე [...]“.

**Grigol Robakidze University**

**With the right of manuscript**

**Ekaterine Nandoshvili**

**Legal Regulation of Relations Arising on the Basis of a Will**

**Educational programme: Law**

**Dissertation is presented for obtaining the academic degree of  
Doctor of Law**

**Abstract**

**Tbilisi**

**2022**

Grigol Robakidze University

Scientific supervisor:  
Zurab Dzierishvili  
Doctor of Law,  
Professor

Shalva Kurdadze,  
Doctor of Law,  
Professor

The date of the defense of the dissertation will be published on the university website [www.gruni.edu.ge](http://www.gruni.edu.ge)

The defense of the dissertation will be held at the sitting of the attestation-expert committee of Grigol Robakidze University School of Law

The Dissertation is available at Grigol Robakidze University Library, # 3 Irina Enukidze Str., Tbilisi, (13th km of Davit Agmashenebeli Alley)

## **Table of Contents**

<b>Introduction</b>	<b>29</b>
<b>Issues to be studied and the relevance of the topic</b>	<b>30</b>
<b>Aim of the study</b>	<b>31</b>
<b>Objectives of the study</b>	<b>31</b>
<b>Hypothesis</b>	<b>32</b>
<b>Methodology and description of the study</b>	<b>32</b>
<b>Results of the study</b>	<b>34</b>
<b>Scientific novelty of the paper</b>	<b>35</b>
<b>Conclusions and recommendations</b>	<b>36</b>

## **Introduction**

„Inheritance law is a precondition for the progress of human society in the history of civilization“. It must be said that heritage has a long history. Inheritance took place as early as tribal times, but the right to inherit or receive inheritance appeared only in the class community and in the state.

The development of inheritance law has always been related to the function it has acquired in different epochs. In Europe, for example, these functions, along with social structures, have been fundamentally changed many times over. As far back as antiquity, the rules and traditions of inheritance originating in agricultural households later became the culture of cities.

